საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/34 " 2 " მარტი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის №1/251 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის":

ა) მე-3 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სტაჟირება - სასამართლოს აპარატში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტაჟიორის ანაზღაურების გარეშე საქმიანობა, რომლის მიზანია პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება სასამართლოს აპარატისათვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოსამზადებლად;

ბ) სტაჟიორი - პირი, რომელიც სასამართლოს აპარატში საქმიანობას ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლების, აგრეთვე პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების მიღების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;";

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, თუ:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) არის უმაღლესი იურიდიული განათლების პირველი საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი.";

ბ.ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:

ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.";

გ) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლოში კანდიდატის სტაჟიორად მიღება ხორციელდება სასამართლოს თავმჯდომარეს ან მისი დავალებით სასამართლოს მენეჯერს, ხოლო საბჭოში - საბჭოს მდივანს ან მისი დავალებით ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსსა და სტაჟიორს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულებით, რომლითაც განისაზღვრება სტაჟიორის უფლებები და მოვალეობები.";

დ) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟიორობის კანდიდატმა კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კონკურსის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში სასამართლოს ან საბჭოს დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) ცნობა განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობის შესახებ;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს სტაჟიორად მიღებაზე უარის თქმის საფუძველს.";

ე) მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 6 თვით. სტაჟირების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს სტაჟიორის განცხადებისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე არაუმეტეს 6 თვით, თუმცა სტაჟირების საერთო ვადა 12 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. სტაჟირების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს მენეჯერი, ხოლო საბჭოს შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.";

ვ) მე-13 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]"-„ე[3]" ქვეპუნქტები:

„ე[1]) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

ე[2]) საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის გამო შტატების შემცირება;

ე[3]) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„ე" და „ი"–„კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა;".

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები გავრცელდეს ამ განკარგულების ამოქმედების შემდეგ გამოცხადებული სტაჟირების კონკურსის შედეგად მიღებულ სტაჟიორებზე, ხოლო ამ განკარგულების ამოქმედებამდე გამოცხადებული სტაჟირების კონკურსის შედეგად მისაღებ სტაჟიორებზე გავრცელდეს ამ განკარგულების ამოქმედებამდე არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი